პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

ბ / 1259 - 2024

31/12/2024

თბილისი

ბრძანება

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებების (ინსპექტირება) 2025 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის და „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 1 მარტის №34 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. თანდართული სახით დამტკიცდეს „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2025 წლის გეგმის ძირითადი მიმართულებები“ (დანართი №1).
2. თანდართული სახით დამტკიცდეს „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2025 წლის გეგმა“ (დანართი №2).
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გეგმური ინსპექტირების დეპარტამენტმა და სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტმა, ამ ბრძანების დანართი №2-ით განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმების დაწყებამდე, შემოწმების ფარგლები განსაზღვრონ ამ ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებული, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2025 წლის გეგმის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით.
4. დაევალოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ადმინისტრაციული და ეკონომიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტს აღნიშნული ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლელა ჯანაშვილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი

დანართი №1

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2025 წლის გეგმის ძირითადი მიმართულებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ განსაზღვრული, 2025 წლის განმავლობაში განსახორციელებელი გეგმური შემოწმებების ძირითადი მიმართულებებია:

1. მიზნობრივი ჯგუფები:

ა) არასრულწლოვნები;
ბ) ახალგაზრდები;
გ) მიგრანტები;
დ) ქალები;
ე) ხანდაზმულები;
ვ) სოციალურად დაუცველი პირები;
ზ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
თ) ბრალდებული/მსჯავრდებული პირები.

2. სფეროები:

ა) შრომითი ურთიერთობები;
ბ) დისტანციური მომსახურება;
გ) თანამედროვე ტექნოლოგიები;
დ) სამედიცინო მომსახურება;
ე) ფარული საგამოძიებო მოქმედებები.

3. თემატიკა:

ა) მონაცემთა მოცულობა;
ბ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება;
გ) მონაცემთა სუბიექტის უფლებები;
დ) მონაცემების გასაჯაროება;
ე) მონაცემთა უსაფრთხოება;
ვ) საერთაშორისო გადაცემა;
ზ) მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტების სიმრავლე;
თ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის ვალდებულების შესრულება.

დანართი №2

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2025 წლის გეგმა

№	შემოწმების ობიექტი	შემოწმების ძირითადი მიმართულებები
	საჯარო სექტორი	
1	5 (ხუთი) მუნიციპალიტეტის მერია	ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაცვის და განათლების ხელშეწყობის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა ბაზები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება; შშმ პირები; არასრულწლოვნები; ახალგაზრდები; ხანდაზმულები; ქალები; სოციალურად დაუცველი პირები; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.
2	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	ადამიანური რესურსების მართვის პროცესში მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; შრომითი ურთიერთობები; მონაცემთა უსაფრთხოება.
3	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ადამიანური რესურსების მართვის პროცესში მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; შრომითი ურთიერთობები; მონაცემთა უსაფრთხოება.
4	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის (EHR) საშუალებით მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა ბაზები; მონაცემთა უსაფრთხოება.

5	სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საშუალებით მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა ბაზები; მონაცემთა უსაფრთხოება; ახალგაზრდები; დიდი მოცულობის მონაცემები.
6	2 (ორი) პროფესიული სასწავლებელი	ვიდეომონიტორინგი; მონაცემთა დამუშავების პრინციპები; ახალგაზრდები; არასრულწლოვნები; შრომითი ურთიერთობები; მონაცემთა უსაფრთხოება.
7	სსიპ - იუსტიციის სახლი	ცხელი ხაზის საშუალებით მონაცემთა დამუშავება; აუდიომონიტორინგი; მონაცემთა დამუშავების პრინციპები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა უსაფრთხოება.
8	საქართველოს 2 (ორი) საკონსულო დაწესებულება	მიგრანტების მონაცემების დამუშავება; მონაცემთა ბაზები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
9	სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მონაცემთა დამუშავება; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; ხანდაზმულები; მონაცემთა უსაფრთხოება.
10	სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო	მინდობით აღსაზრდელთა და მინდობით აღმზრდელთა მონაცემების დამუშავება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა ბაზები; არასრულწლოვნები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა უსაფრთხოება.
11	2 (ორი) საჯარო სკოლა	მონაცემების გასაჯაროება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; არასრულწლოვნები; დიდი მოცულობის მონაცემები.

12	შპს - საქართველოს ფოსტა	დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვალდებულებების შესრულება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა უსაფრთხოება.
13	სსიპ - ანტიკორუფციული ბიურო	მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
14	სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი	ელექტრონული სისტემის საშუალებით მონაცემების დამუშავება; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა ბაზები; მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტების სიმრავლე; მონაცემთა უსაფრთხოება.
15	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	ელექტრონული სისტემის/პორტალის საშუალებით მონაცემების დამუშავება; დისტანციური მომსახურება; თანამედროვე ტექნოლოგიები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
16	სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო	ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (MY.GOV.GE) საშუალებით მონაცემების დამუშავება; დისტანციური მომსახურება; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.პერსონალურ
17	7 (შვიდი) საჯარო დაწესებულება	მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის/განსაზღვრის ვალდებულების სავარაუდო შეუსრულებლობა.

კერძო სექტორი		
18	შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარი“ (ს/ნ 204554259)	დასაქმების პლატფორმის - https://www.hr.ge/ საშუალებით მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; შრომითი ურთიერთობები; მონაცემთა უსაფრთხოება.
19	3 (სამი) კერძო სამართლის იურიდიული პირი	ადამიანური რესურსების მართვის პროცესში მონაცემთა დამუშავება; შრომითი ურთიერთობები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
20	2 (ორი) სამედიცინო დაწესებულება	ვიდეომონიტორინგი; მონაცემთა დამუშავების პრინციპები; სამედიცინო მომსახურება; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები; მონაცემთა უსაფრთხოება.
21	4 (ოთხი) სასტუმრო	ვიდეომონიტორინგი; მომხმარებლების მონაცემების დამუშავება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა ბაზები; მონაცემთა უსაფრთხოება.
22	3 (სამი) ფარმაცევტული ორგანიზაცია	ვიდეომონიტორინგი; აუდიომონიტორინგი; სამედიცინო მომსახურება; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
23	შპს „ფიტნეს ვან“ (ს/ნ 405523483)	მომხმარებელთა მონაცემების დამუშავება; თანამედროვე ტექნოლოგიები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
24	2 (ორი) სადაზღვევო კომპანია	ცხელი ხაზის საშუალებით მონაცემთა დამუშავება; აუდიომონიტორინგი; მონაცემთა დამუშავების პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
25	შპს „სატურნი“ (ს/ნ: 405430494)	ვებგვერდის („Veli.store”) საშუალებით მომხმარებლების მონაცემების დამუშავება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა სუბიექტის უფლებები; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა უსაფრთხოება.

26	შპს „აი სი არ ტრეიდი“ (ს/ნ: 405135651)	ვებგვერდის/აპლიკაციის საშუალებით მომხმარებლების მონაცემების დამუშავება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა სუბიექტის უფლებები; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა უსაფრთხოება.
27	შპს „ელ.ბილეთები“ (ს/ნ 205268869)	ვებგვერდის/აპლიკაციის “biletebi.ge” საშუალებით მომხმარებლების მონაცემების დამუშავება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა სუბიექტის უფლებები; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა უსაფრთხოება.
28	შპს „თინეთი“ (ს/ნ 402116474)	ვებგვერდის/აპლიკაციის “tkt.ge” საშუალებით მომხმარებლების მონაცემების დამუშავება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა სუბიექტის უფლებები; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა უსაფრთხოება.
29	შპს „ტრანსკომ გრუპ” (ს/ნ 406371938)	ვებგვერდის/აპლიკაციის “wildberries.ge”-ის საშუალებით მომხმარებლების მონაცემების დამუშავება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა სუბიექტის უფლებები; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა უსაფრთხოება.
30	2 (ორი) სამედიცინო დაწესებულება	სამედიცინო მომსახურება; არასრულწლოვნები; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
31	2 (ორი) კერძო სკოლა	მონაცემების გასაჯაროება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; არასრულწლოვნები; დიდი მოცულობის მონაცემები.
32	4 (ოთხი) კერძო სამართლის იურიდიული პირი	თანამედროვე ტექნოლოგიები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
33	შპს „დენტოს“ (ს/ნ: 405406751)	ელექტრონული სისტემის/პორტალის საშუალებით მონაცემების დამუშავება; სამედიცინო მომსახურება; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.

34	შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტი“ (ს/ნ:404945244)	ელექტრონული სისტემის/პორტალის საშუალებით მონაცემების დამუშავება; სამედიცინო მომსახურება; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; ქალები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
35	შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“ (ს/ნ: 208215509)	ვიდეომონიტორინგი; მონაცემთა დამუშავების პრინციპები; ახალგაზრდები; შრომითი ურთიერთობები; მონაცემთა უსაფრთხოება.
36	შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი“ (ს/ნ 204426834)	სასწავლო პორტალის საშუალებით მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა ბაზები; უსაფრთხოება; ახალგაზრდები; არასრულწლოვნები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
37	შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი“ (ს/ნ 405155638)	სასწავლო პორტალის საშუალებით მონაცემთა დამუშავება; მონაცემთა ბაზები; უსაფრთხოება; ახალგაზრდები; არასრულწლოვნები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.
38	1 (ერთი) კერძო სამართლის იურიდიული პირი	კინოთეატრში ვიდეომონიტორინგის განხორციელება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა უსაფრთხოება.
39	შპს “ენჯითი როქით სოლუშენს" (ს/ნ 405432580)	ვებგვერდის “Signify.ge”-ს საშუალებით დისტანციური სერვისის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა სუბიექტის უფლებები; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა უსაფრთხოება.
40	1 (ერთი) კერძო სამართლის იურიდიული პირი	აპლიკაციის “allyapp.one”-ის საშუალებით მომხმარებლების მონაცემების დამუშავება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა სუბიექტის უფლებები; მონაცემთა ბაზები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა უსაფრთხოება.
41	2 (ორი) რესტორანი	ვიდეომონიტორინგი; შრომითი ურთიერთობები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; დიდი მოცულობის მონაცემები; მონაცემთა ბაზები; მონაცემთა უსაფრთხოება.
42	3 (სამი) კერძო სამართლის იურიდიული პირი	მონიტორინგის პროგრამების საშუალებით მონაცემების დამუშავება; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; შრომითი ურთიერთობები; მონაცემთა სუბიექტის უფლებები.

43	2 (ორი) კერძო სამართლის იურიდიული პირი	მომხმარებელთა მონაცემების დამუშავება; თანამედროვე ტექნოლოგიები; მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები; მონაცემთა უსაფრთხოება.

	სამართალდამცავი ორგანოები	
44	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	საინფორმაციო ბაზები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სესხის გამცემი სუბიექტის მიერ ფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად მიღებული მოძრავი ნივთების აღრიცხვის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამით მასში დაცული მონაცემების კანონიერების შესწავლა
45	საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები, მონაცემთა ბაზები, მონაცემთა უსაფრთხოება მომსახურების სააგენტოს მიერ დისტანციური მომსახურების გაწევის მიზნით დამუშავებული ბიომეტრიული მონაცემების უსაფრთხოება
46	საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია	ვიდეო/აუდიო მონიტორინგი საგამოცდო სივრცეში ვიდეო-აუდიო მონიტორინგის განხორციელებისას მონაცემების დამუშავების კანონიერება
47	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	ბიომეტრიული მონაცემები, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, უსაფრთხოება, გადაცემა, მონაცემთა ბაზები პირობითი მსჯავრისა და არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების პროცესში, პრობაციონერთა ელექტრონული კონტროლისა და სერვისების უზრუნველყოფის ინოვაციური მოწყობილობის მეშვეობით მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა

48	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	მსჯავრდებული პირების უფლებები საფუძვლები, პრინციპები განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები ყოფილი პატიმრების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან მონაცემების გამოთხოვის კანონიერების შესწავლა
49	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური	ქალთა/არასრულწლოვანთა უფლებები მსჯავრდებული პირები, პრინციპები, საფუძვლები ოჯახში ძალადობისთვის ნასამართლევი პირების რისკის შეფასებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ასეთი მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ ინფორმაციის გადაცემის გზით მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა
50	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	მონაცემთა მინიმიზაცია, სუბიექტის უფლებები, უსაფრთხოება, შენახვის ვადები საგამოძიებო დანაყოფების მიერ განცხადებებთან / შეტყობინებებთან დაკავშირებით, რომელზეც არ იწყება გამოძიება, გამოსაკითხი პირების მონაცემების მოპოვებისა და შენახვის გზით დამუშავების საკითხის შესწავლა
51	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი	ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლი ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულების შესახებ ოქმების წარმოდგენის ვალდებულების შესწავლა
52	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	მონაცემთა დამუშავების პრინციპები, საფუძვლები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები, გასაჯაროების ვადები

		საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მისი ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით მონაცემების გამჟღავნების კანონიერება
53	საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო	ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლი ფარული ვიდეო-აუდიო ჩაწერის განხორციელებისას მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა
54	საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო	მონაცემთა მოცულობა, შრომითი ურთიერთობები, სუბიექტის უფლებები, მონაცემთა უსაფრთხოება სსიპ - ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს ადმინისტრაციული შენობის ვიდეო-მონიტორინგის განხორციელების კანონიერების შესწავლა
55	საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო	ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე კონტროლი გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის პროცესში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა
56	საქართველოს გენერალური პროკურატურა	დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავება, მონაცემთა უსაფრთხოება, შენახვის ვადები, სუბიექტის უფლებები ადმინისტრაციულ შენობაში ვიზიტორთა შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლა
57	საქართველოს გენერალური პროკურატურა	შრომითი ურთიერთობები, მონაცემთა მინიმიზაცია, სუბიექტის უფლებები, უსაფრთხოება, შენახვის ვადები გენერალური ინსპექციის მიერ სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში გამოსაკითხი პირების მონაცემების მოპოვებისა და შენახვის გზით დამუშავების საკითხის შესწავლა

58	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	შრომითი ურთიერთობები, დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავება, მონაცემთა უსაფრთხოება, შენახვის ვადები ადმინისტრაციულ შენობაში თანამშრომელთა შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის კანონიერების შესწავლა
59	სპეციალური საგამოძიებო სამსახური	შრომითი ურთიერთობები, მონაცემთა მინიმიზაცია, პრინციპები და საფუძვლები მათთან დასაქმებული პირების კორპორაციულ ქსელში ჩართულ ნომრებზე შემავალი-გამავალი ზარებისა და მოკლე ტექსტური შეტყობინებების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიებიდან გამოთხოვის კანონიერების შესწავლა
60	ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია შპს „სელფი მობაილი“ (ს/ნ: 204450584)	სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულება სამართალდამცავი ორგანოსთვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით დადგენილი წესით გადაცემის შესახებ ინფორმაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში წარმოდგენის ვალდებულების შესრულება
61	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, პრინციპები, საფუძვლები, უსაფრთხოება დროებითი მოთავსების იზოლატორში თავისუფლებააღკვეთილი (ბრალდებულების) პირების ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლა
62	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური	მონაცემთა მინიმიზაცია, სუბიექტის უფლებები, უსაფრთხოება, შენახვის ვადები

		ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ განცხადებებთან/შეტყობინებებთან დაკავშირებით, რომელზეც არ იწყება გამოძიება, გამოსაკითხი პირების მონაცემების მოპოვებისა და შენახვის გზით დამუშავების საკითხის შესწავლა